საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირმისმხალა

ირმისმხალა

ირმისმხალა (Serratula), მრავალ წლოვან ბალახოვან - მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. აქვს მარტოული ან საერთო ფარისებრ, იშვიათად, საგველა ყვავილედებად თავმოყრილი მრავალყვავილიანი კალათა ყვავილედები. 70-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდ. აფრიკაში, შუა აზიასა და კავკასიაში.

საქართველოში გვხვდება 4 სახეობა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ტყეებსა და ტყისპირებზე მთის ზედა სარტყლამდე. ი-ს ზოგი სახეობა საღებავი და თაფლოვანი მცენარეა.